

# ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

მოკლევადიანი (1 წლიანი) და გრძელვადიანი (6 წლიანი)

თბილისი 2016

S-1.2016.G

---

---

**შინაარსი**

1.	საუნივერსიტეტო კონცეფცია	2
2.	ხედვა, მისია და მიზნები	4
3.	მოკლევადიანი (1 წელი) და გრძელვადიანი (6 წელი) სტრატეგიული გეგმა და მისი მისი განხორციელების საშუალებები	6
4.	დასკვნა	10
5.	ბიბლიოგრაფია	10

## საუნივერსიტეტო კონცეფცია

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით ერთეულს, სივრცეს სადაც სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების გაერთიანებით, ხდება სწავლა, სწავლება, კვლევა. სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს განათლების სამ საფეხურს:

- ბაკალავრიატი
- მაგისტრატურა
- დოქტორანტურა

სასწავლო პროგრამა აგებულია აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია მენარმეობაზე დაფუძნებულ სწავლებაზე. აღნიშნულით ვგულისხმობთ ნებისმიერი დისციპლინის სტუდენტისთვის, ინოვაციური პოტენციალის წახალისებას, მენარმეობისა და მენეჯმენტის საბაზო უნარ ჩვევების განვითარებას და მის ადაპტირებას ლოკალურ და საერთაშორისო ბაზრებზე. სტუდენტისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს გარემოსთან სწრაფ ადაპტირებასა და დასაქმებაში.

საბაკალავრო პროგრამას აქვს ორი მიმარულება:

1. ბიზნეს ადმინისტრირება
2. საინფორმაციო ტექნოლოგიები

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის შეთავაზებულია ორი კვალიფიკაცია:

1. მენეჯმენტი
2. ფინანსები

საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის შეთავაზებულია შემდეგი კვალიფიკაცია:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაკალავრი

სასწავლო პროგრამის მიხედვით, ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტი, მაინორ პროგრამის ფარგლებში, იღებს საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაზო ცოდნას. საინფორმაციო ტექნოლოგიების სტუდენტი კი მაინორ პროგრამის ფარგლებში ეუფლება ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო ცოდნას.

აღნიშნული სფეროს ინტეგრაცია ეფუძნება სიღრმისეულ კვლევას და მონაცემთა ანალიზს, რომელიც ჩატარდა საქართველოსა და საერთაშორისო ბაზრებზე. მონაცემთა ანალიზი და უნივერსიტეტის კონცეფციის შემუშავების წინაპირობას შეგიძლიათ გაეცნოთ მომდევნო თავში.

სასწავლო პროგრამის მიხედვით, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საფეხურის სტუდენტისთვის, პირველ ეტაპზე, შეთავაზებული იქნება მენეჯმენტის კვალიფიკაცია. არჩევითი საგნების ჩამონათვალში, მაგისტრანტს შესაძლებლობა ექნება აირჩიოს საბაზო კურსი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

ანალოგიურად, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტისთვის შეთავაზებული იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების მაგისტრის კვალიფიკაცია, არჩევითი საგნების ჩამონათვალში კი სტუდენტი გააკეთებს არჩევანს ბიზნეს ადმინისტრირების კურსებიდან.

ამ გზით მოხდება ორი დისციპლინის - ბიზნესის ადმინისტრირების და საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთგვარი ინტეგრირება. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტისთვის შეთავაზებული იქნება სადოქტორო ნაშრომის თემის დამუშავება არსებული ორი დისციპლინიდან ერთერთში.

#### დამატებითი აქტივობები

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, სალექციო ნაწილს, სადაც სტუდენტები იღებენ სავალდებულო თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ ნაწილს, სადაც სტუდენტები მუშაობენ კონკრეტული ბიზნეს და ტექნოლოგიური ქეისების/ამოცანების გადანწყვეტაში. გარდა აკადემიური სასწავლო პროცესისა, გათვალისწინებულია სხვა მიმართულებებით სტუდენტების ჩართულობის მაქსიმალური უზრუნველყოფაც:

- უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პროფესორების, სტუდენტების, კომპანიის წარმომადგენლების მუდმივი ჩართულობის უზრუნველყოფა ბიზნესისა და ტექნოლოგიების ერთობლივ პროექტებში. ინოვაციების სამსახურის ძირითადი საქმიანობის მიმართულება იქნება სამი მონაწილე მხარესთვის მაქსიმალური ხელშეწყობი პირობების შექმნა, რაც დაეხმარება პროექტს ერთობლივი წარმატებული სამუშაოების განხორციელებაში.
- კომპანიების წარმომადგენლებთან მოხდება შეთანხმება დამატებითი სატრენინგო კურსების მომზადებაზე სტუდენტებისთვის, რაც კიდევ უფრო დაეხმარება მათ გაიღრმავონ ცოდნა და პრაქტიკოსი მასწავლებლებისგან შეიძინონ საჭირო უნარ-ჩვევები.

- ასევე გათვალისწინებულია კვლევითი ცენტრის ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ პესონალთან ერთად სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას კვლევით პროექტებში. ასევე გათვალისწინებულია კომპანიის წარმომადგენლებთან მუდმივი კომუნიკაცია ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.
- კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ასევე დაიგეგმება სტუდენტების სტაჟირებები პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად, მეტი პრაქტიკული უნარების გამოუმუშავებისთვის და მათი რეალურ ბიზნეს გარემოსთან მაქსიმალურად ადაპტირებისთვის.
- გათვალისწინებულია სტუდენტების ჩართულობით სხვადასხვა სახის თემატური კონკურსების მოწყობა.
- დაიგეგმება სემესტრის განმავლობაში კონკრეტული სფეროების მიხედვით თემატური კვირეულების მოწყობა. რომელიც მოიცავს როგორც მომზადებულ თეორიული საკითხების პრეზენტაციებს, ასევე თემის მიხედვით მოწვეული სტუმრების პრეზენტაციებს, ტრენინგების გამართვას და ა.შ.
- სტუდენტების ჩართულობით გათვალისწინებულია ასევე თემატური კონფერენციების ორგანიზება.
- ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა დასაქმების კომპონენტს. დასაქმება განხორციელდება ადგილობრივ, მსხვილ ქართულ და უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობის გზით. სისტემატიური სახით, მოწვეული იქნებიან კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც სტუდენტებთან იმუშავებენ კონკრეტულ ბიზნეს და ტექნოლოგიურ პროექტებზე, შესთავაზებენ მათ სამუშაო ადგილებს.
- უნივერსიტეტში იფუნქციონირებს კარიერული განვითარების მიმართულება, რომელიც ინდივიდუალურ დონეზე დაეხმარება სტუდენტებს საკუთარი კარიერის დაგეგმვასა და სამუშაოს მოძიებაში.

## უნივერსიტეტის ხედვა

როგორც დღევანდელი გლობალური სამყაროს ციფრული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები გვაჩვენებს, იგი წარმოადგენს ბიზნესის, ტექნოლოგიების და საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას. ციფრული ეკონომიკა მომავალში გადაიქცევა ერთიან სამუშაო ეკონომიკურ სივრცედ (საზღვრების გარეშე) და გახდება გლობალური დასაქმების და ფინანსური კეთილდღეობის საშუალება.

## უნივერსიტეტის მისია

შევთავაზოთ სტუდენტებს უნიკალური საგანმანათლებლო გამოცდილება, განვაავითაროთ მათი ლიდერული და სამენარმეო უნარ-ჩვევები; სამენარმეო ეკოსისტემის შექმნისა და ბიზნესის მაღალ ტექნოლოგიებთან ინტეგრირების გზით, მივცეთ სტუდენტებს მოტივაცია გახდნენ კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც; სამეცნიერო ნაშრომების, იდეებისა და ინოვაციების გაცვლით, მოვახდინოთ ჩვენი პოტენციალის დემონსტრირება გლობალურ ბაზრებზე.

## უნივერსიტეტის მიზანი

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, მოვამზადოთ სტუდენტები, რომელიც ინოვაციურობით, პროდუქტიულობითა და სოციალური პასუხისმგებლობით მიაღწევენ წარმატებას;
- შევქმნათ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უწყვეტი ნაკადი, რომელთა მიერ გენერირებულ იდეებს ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ბიზნესზე, საზოგადოებასა და ტექნოლოგიებზე;
- დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- ვიქონიოთ ძლიერი სამეცნიერო კვლევითი ბაზა, რომელიც ორიენტირებული იქნება ინტერდისციპლინარულ და ახალ ტექნოლოგიურ კვლევებზე და ექნება კვლევითი პროდუქტიულობის მაღალი ხარისხი;
- უზრუნველვყოთ უნივერსიტეტი მაღალი ხარისხის, უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამით და წარვმართოთ სწავლება პროფესიონალი აკადემიური პერსონალისა და პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობით;
- სტიმულირება გავუკეთოთ სასწავლო და სამუშაო აქტივობებს, წავახალისოთ მსხვილი კომპანიების ინტერაქცია სტუდენტებთან და მოწინავე პოზიცია დავიკავოთ, როგორც დასაქმებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რეიტინგში;

## მოკლევადიანი (1 წელი) და გრძელვადიანი (6 წელი) სტრატეგიული გეგმა და მისი მისი განხორციელების საშუალებები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი თანმიმდევრულად გადადგამს ნაბიჯებს დასახული მიზნების განხორციელებისთვის.

### ერთი წლის სტრატეგია

ერთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი დაამყარებს მნიშვნელოვან კავშირებს საქართველოში არსებულ მსხვილ კომპანიებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, რომელთა ერთად დაიგეგმება სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლების, სტაჟირების, დასაქმების, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და სხვა პროექტები.

დაარსებიდან ერთი წლის განმავლობაში, უნივერსიტეტი მოიძიებს საერთაშორისო მობილობის პროგრამებსა და საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტებს. მათი მეშვეობით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის კვალიფიკაციის ამაღლებას. პროგრამების და პროექტების მოძიებაზე პასუხისმგებელი იქნება საგარეო ურთიერთობების სამსახური (გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში). უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამიწვინებო თანხები, რომლის მოცულობა ყოველწლიურად შეადგენს მზარდ მაჩვენებელს და გათვალისწინებულია საერთაშორისო ურთიერთობების ეფექტურად წარმართვისთვის აღნიშნული სამსახურის და ასევე უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლების აუცილებელი ვიზიტებისთვის.

დაგეგმილია კვლევითი მიმართულების ეტაპობრივი განვითარება. პირველი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია კვლევითი სამსახურის კოორდინაციით კვლევითი მიმართულებების გამოყოფა, აკადემიური პერსონალის ჩართულობის და კვლევითი სამუშაოების წარმართვის ორგანიზება. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყოველწლიურად მზარდი მაჩვენებელით კვლევითი სამუშაოების წარმართვის აუცილებელი რესურსი. უნივერსიტეტს ყოველწლიურად გააჩნია როგორც საკუთარი ბიუჯეტი კვლევითი სამუშაოებისთვის, ასევე ითანამშრომლებს სხვა ორგანიზაციებთან და დონორ ორგანიზაციებთან დამატებითი რესურსების მოზიდვისთვის. გარდა კვლევითი მიმართულებისთვის აუცილებელი რესურსებისა, ასევე არსებობს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა კვლევითი სამუშაოების წარმოებისთვის.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ერთი წლის განმავლობაში ინტენსიურად იმუშავებს საქართველოში არსებულ წარმატებულ როგორც ადგილობრივ კომპანიებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათი საუნივერსიტეტო საქმიანობაში მაქსიმალური ჩართულობის მიზნით. მათი ჩართულობა გულისხმობს, როგორც სტუდენტებთან მათი გამოცდილების გაზიარების (კომპანიების პრეზენტაციები), ასევე თემატური სემინარების და ტრენინგების ორგანიზებას. მომზადდება ყოველწიური გრაფიკი, სადაც წინასწარ დაიგეგმება და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისთვის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისად აღჭურვილი სივრცეები/აუდიტორიები.

სტუდენტებისთვის ბიზნეს და ინოვაციური პროექტები დაიგეგმება უნივერსიტეტის პროექტების მენეჯერების მიერ (გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში და დაგეგმილია პროექტის მენეჯერების რაოდენობის ყოველწიური ზრდა), კომპანიების წარმომადგენლებისა და სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობით. სტუდენტები კოორდინირებულად მაღალკვალიფიციური კადრების დახმარებით იმუშავებენ ინოვაციურ და პერსპექტიულ ბიზნეს პროექტებზე, რომელთა განხორციელების ხელშეწყობა გრძელვადიან სტრატეგიაშია მიმართული. უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი სივრცეები და ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერული და სხვა მოწყობილობები) შესაბამისი პროექტების განხორციელებისთვის.

დაგეგმილია სფეროების მიხედვით თემატური კვირეულების მოწყობა პროფესორების, სტუდენტების და კომპანიის წარმომადგენლების მონაწილეობით. მათი განხორციელება მოხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება შესაძლებელია ადმინისტრაციული პერსონალის და პროექტების მენეჯერების დახმარებით (რომლის საშტატო ერთიეულებიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში).

## **ექვსი წლის სტრატეგია**



მომავალი ექვსი წლის განმავლობაში, საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უნივერსიტეტი შექმნის მძლავრ სამეცნიერო ეკოსისტემას.

უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ცენტრი განახორციელებს სამეცნიერო კვლევებს ციფრული ეკონომიკისა და ციფრული მეწარმეობის მიმართულებით. აღნიშნული კვლევებისთვის, უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ და ადამიანურ რესურსს, საუკეთესო შედეგისთვის, ითანამშრომლებს საერთაშორისოდ აღიარებულ კვლევით ინსტიტუტებთან. გათვალისწინებულია კვლევითი მიმართულებების დაფინანსება უნივერსიტეტის საკუთარი ბიუჯეტიდან და ასევე დონორი ორგანიზაციების მოქმედებით.

აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ექსპერტების ჩართულობით, ინოვაციების ლაბორატორია ხელს შეუწყობს სტუდენტური ბიზნესიდეების გენერაციას, აქსელერაციას, ინკუბაციასა და კომერციალიზაციას. მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი გეგმავს ინოვაციური სტუდენტური სტარტაპების მხარდაჭერას, ახლადშექმნილი სანარმოების მდგრადობის შენარჩუნებას და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ციფრული მეწარმეობის ხელშეწყობის კუთხით. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროექტის მენეჯერების პოზიციები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც პერსპექტიული პროექტების შერჩევაში, ასევე მათ მუდმივ კომერციალიზაციაზე ზრუნვაში. ასევე მოხდება დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი კომუნიკაცია პროექტებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

კარიერული განვითარების ცენტრი, ქვეყანაში არსებულ მსხვილ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მოიძიებს სტუდენტური სტარტაპებისა და დასაქმების პროგრამებს, სისტემატიურად უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს, უწყვეტი განათლების პროგრამებს. თანმიმდევრული ტაქტიკური ნაბიჯებით, ცენტრი ხელს შეუწყობს სტუდენტურ თვითდასაქმებას და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზრებზე.

საწყის ეტაპზე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შექმნის სამეცნიერო ბაზას, კატალოგს, რომელიც მოიცავს სასწავლო, კვლევით და საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებული რესურსის ბეჭდურ და ელექტრონულ გამოცემებს. ბიბლიოთეკა ორიენტირებული იქნება მასალის სისტემატიურ განახლებაზე. მომავალი ექვსი წლის განმავლობაში დაკომპლექტდება საერთაშორისო ქსელებში

არსებული მაღალი “იმფაქტ ფაქტორის” მქონე გამოცემებით, უახლესი ელ-ბაზებით. არსებული სამეცნიერო რესურსებით, მოახდენს მენარმეობაზე დაფუძნებულ სწავლებას და ხელს შეუწყობს სტუდენტების ინოვაციური პოტენციალის გამომჟღავნებას. უნივერსიტეტი შესთავაზებს სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალსა და მკვლევარებს წვდომას ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან და უზრუნველყოფს პოზიციონირებას, როგორც პროდუქტიული და გავლენიანი სამეცნიერო კვლევითი ერთეული, რომელიც მუშაობს ბიზნესის, ინოვაციების და ტექნოლოგიების სრულყოფის მიმართულებით. უნივერსიტეტი მოახდენს ორი მზარდი და პერსპექტიული სფეროს - ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთგვარ სინერგიას და შესთავაზებს სტუდენტებს მიიღონ უნიკალური ცოდნა და უნარები, რომელიც გადააქცევს მათ კონკურენტუნარიან კადრად არა მხოლოდ საქართველოს, არამედ გლობალურ ბაზარზეც.

ადგილობრივი და გლობალური მოთხოვნებიდან გამომდინარე აგებული საგანმანათლებლო პროგრამების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ისეთი კადრების მომზადება, რომლებიც სწრაფად შეძლებდნენ ადაპტირებას რეალურ სამუშაოებზე და მიაღწევდნენ დასაქმების მაღალ მაჩვენებლებს. ტექნოლოგიების განვითარების დღევანდელი დონე, იძლევა კადრის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში დასაქმების შესაძლებლობებს. “აუტსორს” სამუშაოების წარმოება, ის ტენდენციაა, რომელიც ახასიათებს დღევანდელ გლობალურ სამყაროს. კარგი მაგალითია ინდოეთი, რომელიც სწრაფად იქცა, ადგილობრივი კადრებით განვითარებული ქვეყნების სამუშაოების “აუტსორს” ქვეყანად. გარდა ინდოეთისა, არსებობს სხვა ქვეყნების გამოცდილებაც: ბალტიის ქვეყნები, ბელორუსია, უკრაინა, პაკისტანი და ა.შ. რომლებმაც დროის მცირე მონაკვეთში შესძლეს ბიზნესის და ტექნოლოგიების სფეროში პოზიციონირება გლობალურ სამუშაო ბაზრებზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეალისტურად მიგვაჩნია ციფრული ეკონომიკის განვითარების მიზნით, საგანმანათლებლო სივრცე ადაპტირდეს საქართველოშიც.

სტუდენტები, პარტნიორები, ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებული იქნება უნივერსიტეტში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. უნივერსიტეტი გამართავს ღია კარის საინფორმაციო შეხვედრებს და წელიწადში ერთხელ გაასაჯაროებს წლიურ ანგარიშს.

## დასკვნა

ადგილობრივ და გლობალური ბაზრებზე ჩატარებული კვლევების თანახმად, ბიზნესი და ტექნოლოგიები ის სფეროებია, რომელსაც განვითარების დიდი პერსპექტივა გააჩნია. სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მენარმეობაზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში, შესაძლებელია კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადი კადრების შექმნა, რომელიც შესძლებს თავი დაიმკვიდროს არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო ბაზრებზეც.

დღესდღეობით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ერთმანეთისგან გამიჯვნა ფაქტიურად შეუძლებელია. რთულია წარმატებას მიაღწიოს სტარტაპმა, რომელსაც აქვს ინოვაციური ბიზნეს იდეა მაგრამ არ ფლობს მისი განხორციელების საბაზო ტექნოლოგიურ უნარებს. აგრეთვე რთულია კონკურენტუნარიანი საწარმოს შექმნა ტექნოლოგიური სპეციალისტისთვის, რომელსაც არ აქვს თუნდაც მცირედი მენეჯერული უნარები. ამას გარდა, მსხვილი კომპანიების ჩაღრმავებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობა პირდაპირ კავშირშია მისი განათლებასთან, უნარ ჩვევებთან და სხვადასხვა სფეროში გათვიცნობიერებულობასთან.

## ბიბლიოგრაფია

1. „ციფრული ეკონომიკა - კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზა“ – ნინო ენუქიძე, მიხეილ ბატიაშვილი, *Forbes Georgia*, დეკემბერი, 2015;
2. კვლევა „ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზრის კომპლექსური შესწავლა“ - მაია ნონიაშვილი, ნინო ენუქიძე, 2015 წელი;
3. „Doing business in the digital age: The impact of the ICT developments in the global business landscape. Europe’s vision and action plan to foster digital entrepreneurship” – Deloitte for European Commission DG Enterprise and Industry, April 2013;
4. [http://ec.europa.eu/growth/sectors/digital-economy/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/growth/sectors/digital-economy/index_en.htm)
5. [http://ec.europa.eu/growth/sectors/digital-economy/policy/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/growth/sectors/digital-economy/policy/index_en.htm)
6. [http://ec.europa.eu/growth/sectors/digital-economy/entrepreneurship/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/growth/sectors/digital-economy/entrepreneurship/index_en.htm)
7. [http://ec.europa.eu/growth/sectors/digital-economy/ict-standardisation/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/growth/sectors/digital-economy/ict-standardisation/index_en.htm)
8. <http://www.oecd.org/internet/oecd-digital-economy-outlook-2015-9789264232440-en.htm>

9. [http://www.oecd-ilibrary.org/science-and-technology/oecd-digital-economy-papers\\_20716826](http://www.oecd-ilibrary.org/science-and-technology/oecd-digital-economy-papers_20716826)
10. <http://mitsloan.mit.edu/ide/>